



ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD

წალკის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საჭიროებების კვლევა

კვლევა ჩატარდა ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CENN და არ
ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

2019

თბილისი



სარჩევი

1. შესავალი.....	3
2. მეთოდოლოგია	4
2.1 რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა	4
2.2 თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა	5
3. კვლევის შედეგები	6
3.1 წალკის მუნიციპალიტეტის ზოგადი სასოფლო-სამეურნეო პროფილი.....	6
3.2 ფოკუს ჯგუფები	11
3.2.1 სოფლის მეურნეობის დარგის მახასიათებლები.....	14
3.2.2 სახელმწიფო რეგულაციები და სტანდარტები.....	17
3.3 ჩაღრმავებული ინტერვიუები.....	17
3.4 სატელეფონო გამოკითხვა	19
3.5 SWOT ანალიზი	25
4. დასკვნა და რეკომენდაციები	26
დანართი	29



1. შესავალი

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ეს წალკა“ - ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს CENN, მომზადდა წალკის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საჭიროებათა კვლევა. კვლევის მიზანია წალკის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის დარგში არსებული ვითარების ანალიზი და ფერმერების საჭიროებების გამოვლენა, რათა განისაზღვროს წალკის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის დარგის პრიორიტეტული მიმართულებები.

კვლევაში გათვალისწინებულია სამაგიდო კვლევა, რომელიც მოიცავს სტატისტიკური მონაცემებისა და სხვადასხვა დროს საერთაშორისო თუ დონორი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზს. დოკუმენტი ეფუძნება აგრეთვე სავსე კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების, ფოკუსჯგუფებისა და სატელეფონო გამოკითხვის შედეგებს.

კვლევის შედეგად გაანალიზებულია წალკის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის დარგში არსებული ვითარება და შესწავლილია ფერმერების საჭიროებები. დოკუმენტი იძლევა სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისათვის საჭირო რეკომენდაციებს, რომლებიც შემდგომში გამოყენებული იქნება წალკის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) მიერ სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისა და სამოქმედო გეგმის განსაზღვრის დროს. გარდა ამისა, კვლევის შედეგები სასარგებლო იქნება სხვა დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისათვისაც.

კვლევის დოკუმენტში მეთოდოლოგიის მიმოხილვის შემდეგ წარმოდგენილია კვლევის თითოეული კომპონენტის შედეგები, რომლებიც მოიცავს წალკის მუნიციპალიტეტის ზოგად სასოფლო-სამეურნეო პროფილს, მათ შორის - ძირითად მახასიათებლებსა და SWOT ანალიზს. დოკუმენტის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია კვლევის შედეგები და წარმოდგენილია შემუშავებული რეკომენდაციები.



2. მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი იყო წალკის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის დარგში არსებული საჭიროებების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ძირითადი ამოცანებია:

- წალკის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობაში არსებული სიტუაციის ანალიზი
- დარგში არსებული გამოწვევებისა და ფერმერების საჭიროებების გამოვლენა
- დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება წალკის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის

კვლევის ძირითადი საკითხების გამოსავლენად და შესაფასებლად გამოყენებულია როგორც ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს არსებული ინფორმაციის სიღრმისეულ გაანალიზებას. შესაბამისად, კვლევა მოიცავს **რაოდენობრივ** და **თვისებრივ** კომპონენტებს.

2.1 რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა

კვლევის გენერალური ერთობლიობა მოიცავს წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას (18 წლის და ზემოთ).

რაოდენობრივი კვლევის მეთოდად გამოყენებულია სატელეფონო გამოკითხვა წინასწარ შედგენილი კითხვარის საფუძველზე. შერჩევის მოცულობა - 85 რესპონდენტი.

შერჩევის ბაზად განსაზღვრულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წალკის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მიერ ფერმერების შესახებ მოწოდებული ინფორმაცია მიმდინარე წლის მდგომარეობით.

შერჩევის დიზაინი მოიცავს ალბათური შერჩევის მეთოდს - სტრატეგიცირებული შერჩევა. შერჩევის ამ მეთოდის მთავარი იდეაა კვლევაში გეოგრაფიული და დემოგრაფიული მახასიათებლების რეპრეზენტატულობა. კვლევის საწყის ეტაპზე შედგა შერჩევის დეტალური სქემა, რომელიც მოიცავდა რესპონდენტების განაწილებას ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით. თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში,



ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, შემთხვევითი შერჩევი მეთოდით შეირჩა 85 ფერმერი, რომლებთანაც განხორციელდა სატელეფონო ინტერვიუ წინასწარ შედგენილი კითხვარის საფუძველზე. ერთი ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 15 წუთს. შერჩევის მსგავსი წესი უზრუნველყოფს შერჩევის შემთხვევითობის მაქსიმალურ დაცვას და, საბოლოო ჯამში, რეპრეზენტატული მონაცემების მიღებას.

კითხვარი: შერჩევის მოდელის დიზაინის პარალელურად შემუშავდა კვლევის ინსტრუმენტი - კითხვარი. კითხვარი შედგებოდა ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი მოიცავდა ზოგად კითხვებს საცხოვრებელი ადგილის, სქესის, საქმიანობისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ. მეორე ნაწილი მოიცავდა კითხვებს, რომელთა საშუალებითაც გამოვლინდა ფერმერების საჭიროებები და შეფასდა ფერმერთა საქმიანობის განვითარების პოტენციალი.

2.2 თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა

თვისებრივი კვლევა განხორციელდა ფოკუსჯგუფების, ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და სამაგიდო კვლევის მეთოდების გამოყენებით.

ფოკუსჯგუფები და **ჩაღრმავებული ინტერვიუები** განხორციელდა წინასწარ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე. კვლევის თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში შედგა შეხვედრა 2 ფერმერთა ფოკუსჯგუფთან. ფოკუსჯგუფის მონაწილეები შეირჩნენ მათი საქმიანობის მიხედვით. მთლიანობაში, ფოკუსჯგუფში მონაწილეობა მიიღო ოცდაოთხმა ფერმერმა, რომლებიც წარმოადგენდნენ წალკის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის შემდეგ ძირითად მიმართულებებს: მესაქონლეობას, მეფუტკრეობას, მეკარტოფილეობას, მარცვლეულ კულტურებს. თითოეული ფოკუსჯგუფის დისკუსია გაგრძელდა საშუალოდ 2 საათი.

ჩაღრმავებული ინტერვიუები, რომლებიც საკვლევი საკითხის სიღრმისეული შესწავლის შესაძლებლობას იძლევა, განხორციელდა შემდეგ რესპონდენტებთან:

- დიმიტრი მიშელაძე - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წალკის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი
- ჯემალ დეკანაძე - სურსათის ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენელი წალკის მუნიციპალიტეტში



- ფრიდონ გვარლიანი - წალკის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი
- ლევან ჟვანია - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია

სამაგიდო კვლევა გულისხმობს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიმოხილვას, არსებული ანგარიშებისა და კვლევების გაცნობას. კერძოდ, კვლევის პროცესში გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ინფორმაცია - 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგები და სოფლის მეურნეობის 2018 წლის სტატისტიკური პუბლიკაცია.

კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე გაანალიზდა დარგში არსებული სიტუაცია და შემუშავდა ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები.


3. კვლევის შედეგები

3.1 წალკის მუნიციპალიტეტის ზოგადი სასოფლო-სამეურნეო პროფილი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2018 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობაში ჩართულია მთლიანი მოსახლეობის 43.1%, რომელიც ქმნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 7.7%-ს. წალკის მუნიციპალიტეტში შინამეურნეობების 50%-ზე მეტი ჩართულია სოფლის მეურნეობაში. 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, წალკის მუნიციპალიტეტში 5,321 სასოფლო-სამეურნეო ერთეულია, საიდანაც 99.7% შინამეურნეობაა, ხოლო იურიდიული პირების რაოდენობა არის მხოლოდ 15. თუ შევხედავთ წალკის მუნიციპალიტეტის ოჯახური მეურნეობების განაწილებას მეურნის სქესის მიხედვით, დავინახავთ, რომ 5,306 ოჯახური მეურნეობების 75%-ს მართავს მამაკაცი.



გრაფიკი 1. წალკის მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო პროფილი



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა

ხელმძღვანელის ასაკის მიხედვით ოჯახური მეურნეობების განაწილება გვიჩვენებს, რომ ოჯახური მეურნეობების 29%-ს მართავს 65 წელს გადაცილებული მეურნე. შემდეგ მოდის 45-54 წლების კატეგორია (22.2%). ხოლო იმ ოჯახური მეურნეობების რაოდენობა, რომელთაც 34 წლის და უფრო მცირე ასაკის მმართველი ჰყავს, შეადგენს 618-ს (11.6%).


მეურნის განათლების დონის მიხედვით ანალიზი გვიჩვენებს, რომ 5,306 ოჯახური მეურნეობიდან უმეტესობას ჰყავს მმართველი სრული ზოგადი განათლებით (3,196). უმაღლესი განათლება აქვს მათგან მხოლოდ 603-ს, პროფესიული განათლება კი - 575-ს.

ოჯახური მეურნეობების უმრავლესობა საკუთრებაში ფლობს მიწის ნაკვეთს და მეურნეობის სარგებლობაში არსებული ნაკვეთების საშუალო ფართობი შეადგენს 1.02 ჰა-ს. ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ოჯახური მეურნეობების ნაწილი სარგებლობს იჯარით აღებული მიწით.

ოჯახური მეურნეობების უმრავლესობა ფლობს სახნავ მიწას. შემდეგ მოდის მეურნეობები ბუნებრივი სათიბებითა და საძოვრებით. მრავალწლოვანი ნარგავები და სათბურები კი მხოლოდ 37 მეურნეს აქვს.



გრაფიკი 2. მეურნეობების რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო მიწით სარგებლობის ფორმების მიხედვით (ერთეული)



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით, ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობებიდან ყველაზე დიდი ფართობი კარტოფილს უკავია და შეადგენს 1,918 ჰა-ს. შემდეგ მოდის ქერი და ხორბალი, შესაბამისად - 698 ჰა და 328 ჰა. ლობიოს, ბარდისა და შვრიის ნათესი ფართობი არის 286 ჰა, ხოლო სიმინდის ნათესი ფართობი - 18 ჰა. ოჯახური მეურნეობების რაოდენობის მიხედვით ანალიზი გვიჩვენებს, რომ **მეკარტოფილეობაში** ჩართულია 4,815 მეურნეობა, რომელიც მთლიანი რაოდენობის 90%-ს შეადგენს. მეკარტოფილეობასთან ერთად, წალკის მუნიციპალიტეტში ასევე გავრცელებულია **მეხოსტნეობა** (2,718 მეურნეობა) და **ქერის მოყვანა** (1,329). რაც შეეხება სხვა ერთწლიანი კულტურების მოყვანას (ხორბალი, სიმინდი და საქონლის სხვა საკვები კულტურები), ამ მიმართულებებით მეურნეობების მხოლოდ მცირე ნაწილია დაკავებული.

წალკის მუნიციპალიტეტში **მესაქონლეობას** მოსდევს 4,097 ოჯახური მეურნეობა, რაც მთლიანი რაოდენობის 78%-ს შეადგენს. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობამ 2014 წელს 28,038 სული შეადგინა, მათგან 15,909 ფურია. მუნიციპალიტეტში ოჯახური მეურნეობები დაკავებული არიან აგრეთვე მეცხვარეობითა (1,047 მეურნეობა) და მეთხევებით (82 მეურნეობა). 2014 წელს ცხვრების რაოდენობამ შეადგინა 14,514, ხოლო თხების რაოდენობამ - 325.

გარდა მესაქონლეობისა, ოჯახური მეურნეობები მისდევენ მეფრინველეობას, თუმცა აღნიშნული დარგი არ წარმოადგენს მათთვის შემოსავლის ძირითად წყაროს.



გარდა ზემოხსენებული მიმართულებებისა, წალკის მუნიციპალიტეტში მეფუტკრეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მიუხედავად იმისა, რომ მეფუტკრე მეურნეობების რიცხვი, 2014 წლის მონაცემებით, 140-ია და აქედან უმეტესობას (65 მეურნეობა) ჰყავს ფუტკრის 1-4 ოჯახი, აღნიშნულ დარგს განვითარების პოტენციალი აქვს. კვლევის პროცესში პირველადი მონაცემების შეგროვების დროს გამოიკვეთა ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც წალკის მუნიციპალიტეტში მეფუტკრეობის განვითარების შესაძლებლობას იძლევა (მაგალითად, ბუნებრივი პირობები).

წალკის მუნიციპალიტეტში 2014 წელს მეურნეობების რაოდენობამ სარწყავი მიწით შეადგინა 48, რომელთა უმრავლესობის მიწის ფართობი არ აღემატება 0.2 ჰა-ს. ამავე დროს, მეურნეობების დიდ ნაწილს არ გააჩნია გამართული საირიგაციო სისტემა და საკუთარი ძალებით ახერხებს მიწის მორწყვას. მაგალითად, 2014 წელს 841-მა მეურნეობამ მორწყო მიწა და აქედან 564 ფლობდა 0.1 ჰა-მდე მიწის ფართობს. ეს მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ მიწის მორწყვას მხოლოდ მცირემიწიანი მეურნეობები ახერხებენ და ისიც მხოლოდ - საკუთარი ძალებით.

სტატისტიკური მონაცემების დამუშავების საფუძველზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ წალკის მუნიციპალიტეტში ოჯახური მეურნეობები აქტიურად იყენებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და მოწყობილობებს. მაგალითად, 2014 წელს ტრაქტორი გამოიყენა 4,194 მეურნეობამ, რაც მთლიანი რაოდენობის 79%-ს შეადგენს. ხელის ტრაქტორი გამოიყენა 1,057-მა, მიწის დასამუშავებელი მოწყობილობები - 3,590-მა და სატვირთო ავტომობილი - 3,924-მა მეურნეობამ. უნდა აღინიშნოს, რომ იმ მეურნეობებიდან, რომლებმაც ტრაქტორი გამოიყენეს, მხოლოდ 7% ფლობს ტრაქტორს საკუთრებაში. მუნიციპალიტეტში საკუთრებაში არსებული ტრაქტორების რაოდენობიდან (318 ტრაქტორი) 296 არის მუშა მდგომარეობაში, რომელიც 93%-ს შეადგენს.

არსებული სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზისა და ლიტერატურის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ წალკის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულებებია: **მესაქონლეობა, მეკარტოფილეობა, მარცვლეული კულტურები, მეფუტკრეობა.**

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, წალკის მუნიციპალიტეტში, სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, განვითარებულია რძისა და რძის პროდუქტების წარმოება. მუნიციპალიტეტში არსებული რძის შემგროვებელი და გადამამუშავებელი საწარმოები თანამშრომლობენ თბილისში არსებულ დიდ სუპერმარკეტებთან, ისეთებთან, როგორებიც არიან გუდვილი და ორი ნაბიჯი. ამასთანავე, ფოკუსჯგუფის დისკუსიის დროს გამოიკვეთა, რომ ფერმერების დიდი ნაწილი, წარმოების მცირე მასშტაბებიდან გამომდინარე, საკუთარ პროდუქტს საბითუმო მოვაჭრეებისა და გადამყიდველების საშუალებით ყიდის. ამავე დროს, ფერმერები ამჯობინებენ საკუთარი დისტრიბუციის არხის ქონას.



ეს მათ შესაძლებლობას მისცემს, რომ გადამყიდველების გვერდის ავლით პირდაპირ ითანამშრომლონ სუპერმარკეტებთან და საბოლოო მომხმარებელთან. ფერმერები აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა მათი წარმოების გაფართოება და მეურნეობის გამსხვილება.

2016 წელს ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა (EPRC) ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა გარკვეული სასოფლო-სამეურნეო სექტორების (კარტოფილი, სტაფილო, საშემოდგომო ხახვი, თაფლი) პრობლემატიკის გამოვლენა საწარმოო ჯაჭვის ყველა რგოლში და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. კვლევის არეალი ასევე მოიცავდა ქვემო ქართლის რეგიონს. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქვემო ქართლის რეგიონი, მათ შორის - წალკის მუნიციპალიტეტი, გამოირჩევა კარტოფილის წარმოებისათვის საუკეთესო პირობებით. კვლევაში აღნიშნულია, რომ ქვემო ქართლის რეგიონში კარტოფილის საშუალო მოსავალი შედარებით მცირე, მაგრამ ბიზნესზე ორიენტირებული ფერმების არსებობის შემთხვევაში, აღემატება როგორც ეროვნულ საშუალო მაჩვენებელს, ასევე საქართველოს რეგიონების საშუალო მოსავლიანობის დონეს. ამავე დროს, კვლევის შედეგების მიხედვით, შესაძლებელია კარტოფილის მოსავლიანობის, მინიმუმ, ორჯერ გაზრდა არსებული ხელშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრით. ეს ფაქტორებია: საირიგაციო სისტემები, კარტოფილის თესლის სელექცია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების როტაცია.

კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ ქვემო ქართლის რეგიონს მეკარტოფილეობის გარდა პოტენციალი აქვს ბოსტნეულის, კერძოდ კი, სტაფილოს წარმოებაში. აღნიშნული დარგი სხვა ბოსტნეულ კულტურებთან შედარებით მცირეა, მაგრამ უკანასკნელი წლების მონაცემებით, მზარდი დინამიკით ხასიათდება. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა ცოდნის ნაკლებობა თესვის სწორ პრაქტიკასთან მიმართებაში, რომელიც გულისხმობს სათესლე მასალის გამოყენების ოპტიმალური ნორმის დადგენას (თესლის რაოდენობა 1 ჰა-ზე).

EPRC-ის კვლევაში ასევე გაანალიზებულია მეფუტკრეობა და აღნიშნულია, რომ ქვემო ქართლის რეგიონში თაფლის მოსავლიანობა ჩამორჩება სხვა რეგიონების საშუალო მოსავლიანობას. თუმცა რეგიონის, და მათ შორის წალკის მუნიციპალიტეტის მთის ზონის თაფლი საუკეთესოდ არის მიჩნეული. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მეფუტკრეები მეზობელი რეგიონებიდან მომთაბარეობისთვის ხშირად ირჩევენ წალკის მუნიციპალიტეტს. მოსავლის ზრდის ხელშემშლელი რამდენიმე ფაქტორი არსებობს, რომელთა შორის არის ვეტერინარული წამლების/ქიმიკატების არასათანადო გამოყენება; ფუტკრის კვებისთვის შაქრის გადამეტებული მოხმარება; ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საკითხები - ბევრ ფერმერს არა აქვს საშუალება, უზრუნველყოს ფუტკრის სეზონური გადაადგილება.



ქვემო ქართლის რეგიონი და მათ შორის წალკის მუნიციპალიტეტი შესწავლილ იქნა 2019 წელს EPRC-ის მიერ ჩატარებული სხვა კვლევის ფარგლებშიც - „სოფლის მეურნეობის პერსპექტიული დარგები საქართველოს ოთხ შერჩეულ რეგიონში.“ აღნიშნული კვლევის მიხედვით, წალკის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებად დასახელებულია მებოსტნეობა, მეკარტოფილეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა და მეფრინველეობა.

2011 წელს სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IAAD) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების გაცნობის საფუძველზე შესაძლებელია იმის თქმა, რომ მესაქონლეობის მიმართულებით 2011 წლის მდგომარეობით წალკის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემატიკა კვლავ აქტუალურია. კერძოდ, დარგის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად საჭიროა ჯიშების გაუმჯობესება, ცხოველთა დაავადებების კონტროლი, არსებული კადრების გადამზადება, მექანიზაციის დონის გაუმჯობესება და ა.შ.

წალკის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივების დოკუმენტის მიხედვით დასტურდება, რომ წალკის მუნიციპალიტეტს მესაქონლეობისა და მეკარტოფილეობის განვითარების მაღალი პოტენციალი აქვს. ამავ დროს, მუნიციპალიტეტი ცნობილია თავისი რძის პროდუქტებით. არსებობს ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების პერსპექტივა.

3.2 ფოკუს ჯგუფები

კვლევის ფარგლებში ჩატარდა ორი ფოკუსჯგუფი. ფოკუსჯგუფში მონაწილეობა მიიღო 24-მა ფერმერმა, რომლებიც წარმოადგენდნენ წალკის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის შემდეგ ძირითად მიმართულებებს: მესაქონლეობას, მეფუტკრეობას, მეკარტოფილეობას, მარცვლეულ კულტურებს. აღნიშნული მიმართულებები წალკის მუნიციპალიტეტში ტრადიციულ დარგებად შეიძლება მივიჩნიოთ, რაც დადასტურდა ფოკუსჯგუფის დროსაც. ფერმერების უმრავლესობას აქვს ათი და მეტი წლის გამოცდილება შესაბამის დარგში მუშაობისა. ამასთანავე, რამდენიმე ფერმერი აპირებს ახალი მიმართულებით საქმიანობის დაწყებას, როგორცაა მებოსტნეობა და მეთხევრობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფერმერი მხოლოდ ერთ დარგში არ არის ჩართული და რამდენიმე მიმართულებით საქმიანობს. მაგალითად, მესაქონლე ფერმერი მეფუტკრეობითაცაა დაკავებული. ფოკუსჯგუფის დროს თითოეული ფერმერი აქტიურად იყო ჩართული დისკუსიაში. აქედან გამომდინარე, ფოკუსჯგუფებმა მოგვცეს სრულყოფილი ინფორმაცია დარგში არსებული სიტუაციის შესახებ. ფოკუსჯგუფების მონაწილეები განსხვავდებიან რესურსებზე ხელმისაწვდომობით, შესაბამისად - მეურნეობის ზომით, ცოდნითა და გამოცდილებით.



ფოკუსჯგუფების დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა წალკის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის დარგის შემდეგი ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.



3.2.1 სოფლის მეურნეობის დარგის მახასიათებლები

3.2.1.1 წარმოების ფაქტორები



ბუნებრივი რესურსები

- მკაცრი კლიმატური პირობები
- ალპური სამოვრები, რომლის შენარჩუნებისთვის საჭიროა მართვის სწორი პრაქტიკის დანერგვა
- მიწების ფრაგმენტაცია
- გამოყენებული მიწის ნაკვეთების უმეტესობა დროებით სარგებლობაშია, რადგან იკვეთება მიწის რეგისტრაციის პრობლემა
- კვლევის დროს დაფიქსირდა წყლის რესურსზე წვდომის პრობლემა



ადამიანური რესურსები

- მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია
- სამუშაო ძალის დიდ ნაწილს წარმოადგენენ ოჯახური მეურნეობის წევრები და მხოლოდ მცირე ნაწილი იყენებს დაქირავებულ მუშახელს, ძირითადად - სეზონურად
- კვალიფიციური მუშახელის სიმცირე
- მუშახელის დაბალი ანაზღაურება
- დარგობრივი სპეციალისტების უმეტესობა ასაკოვანია - მათი ასაკი 50 წელს აღემატება



კაპიტალი

- არსებული ტექნიკა სრულად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას
- მოძველებული ტექნიკა და მანქანა-დანადგარები საჭიროებს განახლებას
- სესხზე მაღალი განაკვეთები და ქონებით უზრუნველყოფის მოთხოვნა ართულებს ფინანსებზე ხელმისაწვდომობას



ტექნოლოგიები

- წარმოებაში გამოიყენება ტრადიციული მეთოდები
- შეზღუდული წვდომა ინფორმაციასა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე
- არ ხდება წარმატებული მაგალითების გაზიარება
- არ ხდება წარმოებაში ინოვაციური მიდგომების გამოყენება
- ამავე დროს გამოიკვეთა ახალი მიმართულებების მიმართ ინტერესი (მაგალითად, ბროკოლის მოყვანა)




ინფრასტრუქტურა

- ცენტრალური გზები დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაშია
- ზოგიერთ სოფელში შიდა გზა საჭიროებს რეაბილიტაციას
- მიმდინარეობს ბუნებრივი აირით მოსახლეობის უზრუნველყოფის პროცესი
- ელექტროენერჯის პრობლემა კვლევის დროს არ დაფიქსირებულა
- საირიგაციო სისტემები გაუმჯობესებას საჭიროებს
- ინტერნეტის გამოყენება მზარდი ტენდენციით ხასიათდება



3.2.1.2 საბაზრო ფაქტორები



ფოკუსჯგუფებმა აჩვენეს, რომ წალკის მუნიციპალიტეტი ძირითადად წარმოდგენილია მცირე მეურნეობებით, რომელთა მიერ წარმოებული პროდუქტი ვერ უწევს კონკურენციას იმპორტირებულ პროდუქტებს. მცირე მეწარმეები თანამშრომლობენ სხვადასხვა მსხვილ საწარმოსთან, რომლებიც ფერმერების მიერ წარმოებულ პროდუქტს გადაამუშავებენ. მაგალითად, წალკის მუნიციპალიტეტის მესაქონლე ფერმერები რძეს აბარებენ სანტესა და რძის პროდუქტების სხვა მსგავს მწარმოებლებს. ასევე, მეკარტოფილეობაში ჩართული ფერმერები თანამშრომლობენ კარტოფილის „ჩიპსის“ მწარმოებელ კომპანიასთან. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროდუქტების რეალიზაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დისტრიბუტორები და ბითუმად მოვაჭრეები, რომლებიც ფერმერების მიერ წარმოებულ პროდუქტს აწვდიან საბოლოო მომხმარებელს - სასტუმროებს, რესტორნებს, სუპერმარკეტებს, აგრარული ბაზრებს. კვლევის პროცესში გამოიკვეთა არსებული მეურნეობების გამსხვილების საჭიროება და ფერმერების სურვილი, რომ თვითონ მოახდინონ საკუთარი პროდუქტების



რეალიზაცია. ფერმერების აზრით, ეს მათ მოგების მაღალი მარჟის მიღების საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, ფოკუსჯგუფის რამდენიმე მონაწილემ გამოთქვა სურვილი, რომ კვლავ ფლობდეს გასაღების საკუთარ ობიექტებს, როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე თბილისის მასშტაბით. მსგავსი გამოცდილება გამოიკვეთა რამდენიმე ფერმერის შემთხვევაში, და ეს სხვებისთვისაც საინტერესო აღმოჩნდა.



3.2.2 სახელმწიფო რეგულაციები და სტანდარტები

სოფლის მეურნეობის დარგში არსებული რეგულაციების მიუხედავად, ძირითად გამოწვევად რჩება ამ რეგულაციების აღსრულება; მაგალითად, მესაქონლეობაში მნიშვნელოვანია რძის რეგლამენტის აღსრულება. კვლევის პროცესში გამოვლინდა:

- ფიზიკური პირების შემთხვევაში - რძისა და რძის ნაწარმის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე კონტროლის არარსებობა
- იურიდიული პირების შემთხვევაში - რძისა და რძის ნაწარმის დისტრიბუციის ეტაპებზე კონტროლის ნაკლებობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ მომხმარებელს სავაჭრო ობიექტებში შეიძლება შეხვდეს ვადაგასული ან საკვებად უვარგისი რძის პროდუქტი

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს მომხმარებლის დაბალი ცნობიერება იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლი აკისრია მას რეგლამენტის აღსრულების პროცესში და როგორ უნდა მოიქცეს სურსათის უვნებლობის პრაქტიკის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში. ამასთანავე, მუნიციპალიტეტში ცნობიერება არსებულ სტანდარტებთან მიმართებაში კვლავ დაბალია და ეს ფაქტი დადასტურდა ფოკუსჯგუფის დროსაც.

3.3 ჩაღრმავებული ინტერვიუები

ჩაღრმავებული ინტერვიუები განხორციელდა შემდეგ რესპონდენტებთან:

- დიმიტრი მიშელაძე - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წალკის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი
- ჯემალ დეკანაძე - სურსათის ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენელი წალკის მუნიციპალიტეტში
- ფრიდონ გვარლიანი - წალკის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი
- ლევან ჟვანია - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია

ჩაღრმავებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა ფოკუსჯგუფისა და სატელეფონო გამოკითხვის შედეგები. კერძოდ, წალკის მუნიციპალიტეტში, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, გარდა ტრადიციული მიმართულებებისა, პერსპექტივა აქვს ისეთი დარგების



განვითარებას, როგორებიცაა ბროკოლი, სტაფილო, ყვავილოვანი კომბოსტო და ა.შ. აღნიშნულ კულტურებს მარტივად შეუძლიათ ცივ კლიმატთან ადაპტირება. მუნიციპალიტეტში უკვე არსებული სადემონსტრაციო ნაკვეთი ადასტურებს, რომ აღნიშნული კულტურების მოყვანა ისეთ აგროვადებშია შესაძლებელი, როდესაც მათი საბაზრო ფასი მაღალია. ასევე, აღინიშნა, რომ ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია, გაზიფიცირება ეტაპობრივად ხორციელდება, ბევრმა ფერმერმა შეიძინა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გარკვეული საგრანტო პროექტების ფარგლებში (მაგალითად, იაფი აგროკრედიტის ფარგლებში). დღევანდელი მდგომარეობით, 10-მდე ფერმერს აქვს მაღალი სიმძლავრის ტექნიკა. თუმცა, არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა სრულად ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნას და ფერმერებს ხშირად უწევთ აგროვადების დარღვევა.

განათლება კვლავ დასახელდა ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად, რადგან წალკის მუნიციპალიტეტში კვალიფიციური კადრების სიმცირეა. შესაბამისად, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საჭიროა პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, უპირატესობა უნდა მიენიჭოს განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ ოჯახებს. ახალგაზრდებისთვის მეტი მხარდაჭერა პროფესიული განათლების კუთხით შეამცირებს მიგრაციის დონეს მუნიციპალიტეტში.

მიუხედავად სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების არსებული პროგრამებისა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ისევ პრობლემაა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრში ფერმერების მომართვიანობა ყველაზე ხშირად სწორედ ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება. მათთვის საინტერესოა ახალი საგრანტო პროექტები, რომლებიც სოფლის მეურნეობის მიმართულებით ხორციელდება.

წალკის მუნიციპალიტეტისთვის გასაღების მთავარ ბაზარს მეზობელი მუნიციპალიტეტები და დიდი ქალაქები წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ სასაკლავო არსებობა წალკის მუნიციპალიტეტში არ არის მოთხოვნადი, რადგან ფერმერებისთვის უმჯობესია მეზობელ მუნიციპალიტეტებში, მაგალითად, თეთრიწყაროში არსებული სასაკლავოებით სარგებლობა. შესაბამისად, წალკაში სასაკლავო არ ფუნქციონირებს. სხვა პროდუქტების შემთხვევაში, გასაღების ბაზარი თბილისი და სხვა ქალაქებია. კვლევის პროცესში დასახელდა ექსპორტის ერთი შემთხვევა - ადგილობრივი ფერმერის მიერ ყველის ექსპორტი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჩაღრმავებული ინტერვიუების დროს ასევე აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სხვა მონათესავე დარგების განვითარება, მათ შორის - აგროტურიზმი. მნიშვნელოვანია აგრეთვე ფერმერებს შორის კოოპერაციის გაძლიერება.




3.4 სატელეფონო გამოკითხვა

ფერმერების საჭიროებების გამოვლენის მიზნით ჩატარდა სატელეფონო ინტერვიუ. სულ გამოიკითხა 85 ფერმერი. კითხვარი მოიცავდა ზოგად კითხვებს ფერმერის საქმიანობისა და გამოცდილების შესახებ. კვლევა მოიცავდა აგრეთვე კითხვებს, რომელთა საშუალებითაც გამოვლინდა საქმიანობის ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორები და ის საჭიროებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას. ფერმერებმა მოგვაწოდეს ინფორმაცია თავიანთი სამომავლო გეგმების შესახებ.

ნაწილი I: ზოგადი კითხვები

გამოკითხული 85 მეწარმიდან 92% მამაკაცია, ხოლო 8% - ქალი.


გრაფიკი 1. ფერმერების განაწილება სქესის მიხედვით



გამოკითხული ფერმერები წარმოდგენილი არიან წალკის მუნიციპალიტეტის 30-ვე ადმინისტრაციული ერთეულიდან.



გრაფიკი 2. გამოკითხული ფერმერების განაწილება გამოცდილებისა და საქმიანობის მიხედვით



კვლევა მოიცავდა კითხვას ფერმერის გამოცდილებისა და საქმიანობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ფერმერი ჩართულია ერთდროულად რამდენიმე საქმიანობაში; მაგალითად, ფერმერი, რომელიც დაკავებულია მესაქონლეობითა და მეკარტოფილეობით, ასევე ჩართულია მეფუტკრეობაში.

85 გამოკითხული ფერმერიდან 71-ს აქვს მუშაობის 10 წელზე მეტი გამოცდილება შესაბამის დარგში. ისინი ძირითადად დაკავებული არიან ყველა იმ მიმართულებით, რაც მუნიციპალიტეტშია განვითარებული. მესაქონლეობა, მეკარტოფილეობა, მემარცვლეობა და მეფუტკრეობა არის ძირითადი საქმიანობები, რომლებსაც მისდევენ მუშაობის 5-10 წლამდე გამოცდილების მქონე ფერმერები.

მეფუტკრეობის დარგში ჩართული ფერმერების უმეტესობას (31 ფერმერს) ჰყავს ფუტკრის 30 ოჯახზე ნაკლები. 41 გამოკითხული მეფუტკრე ფერმერიდან მხოლოდ 6-ს ჰყავს ფუტკრის 60 ოჯახზე მეტი.

53 ფერმერიდან, რომლებიც ჩართული არიან მესაქონლეობის დარგში, 24-ს ჰყავს 20 სულზე ნაკლები, 19-ს ჰყავს 20-დან 50 სულამდე, 5-ს ჰყავს 50-დან 100 სულამდე და დანარჩენ 5 ფერმერს ჰყავს 100 სულზე მეტი. 47 ფერმერიდან, რომლებიც ჩართული არიან მეკარტოფილეობის დარგში, 6-მა არ დაასახელა მოსავლის ოდენობა წლის განმავლობაში. 9 ფერმერს მოჰყავს 100 ტონაზე მეტი




კარტოფილი, 19 ფერმერს - 20 ტონამდე, 10 ფერმერს კი - 20 ტონიდან 100 ტონამდე კარტოფილი და მხოლოდ 3-ს მოჰყავს 500 ტონაზე მეტი კარტოფილი.

მეზოსტნეობაში ჩართულ ფერმერებს ძირითადად მოჰყავთ ბროკოლი, ყვავილოვანი კომბოსტო, მწვანელი. გამოკითხული ფერმერებიდან მხოლოდ ერთმა დაასახელა, რომ მიმდინარე წელს მიიღო 25 ტონა კომბოსტო.

მარცვლეულის მიმართულებით მომუშავე გამოკითხული 29 ფერმერიდან, მოსავლის ოდენობა 5-მა არ დაასახელა. 13 ფერმერს აქვს 20 ტონამდე ქერისა და ხორბლის მოსავალი, 7-ს -100 ტონამდე და 4-ს 100 ტონაზე მეტი ხორბლისა და ქერის მოსავალი. მეფრინველეობაში ჩართულ ფერმერებს ჰყავთ დაახლოებით 20 ქათამი, ხოლო მეცხვარეობაში ჩართულ 2 ფერმერს - 100 სულ ცხვარზე მეტი.

85 გამოკითხული ფერმერიდან 29 ფერმერი (34%) მცირემიწიანია, მათ მხოლოდ მიწის 5 ჰა ნაკვეთი აქვთ, უმეტეს მათგანს - საკუთრებაში, ხოლო ზოგიერთს იჯარით აქვს აღებული. 11 ფერმერს საკუთრებაში აქვს 5 ჰა-დან 10 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი, 25 ფერმერს - 10 ჰა-დან 100 ჰა-მდე, მხოლოდ 3 ფერმერს აქვს 100 ჰა-ზე მეტი მიწა. 17 - მა გამოკითხულმა ფერმერმა არ დაასახელა კუთვნილი მიწის ოდენობა.

ნაწილი II: შესაძლებლობები და ხელშემშლელი ფაქტორები ბიზნესის განვითარებისათვის
გრაფიკი 3. საკმიანობის ხელშემშლელი ფაქტორები






გამოკითხული ფერმერები მიიჩნევენ, რომ ფინანსების ნაკლებობა, ტექნიკაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა და გასაღების ბაზრების არარსებობა არის მთავარი ხელშემშლელი ფაქტორები მათი საქმიანობის განვითარებისათვის. გარდა ამისა, კვალიფიციური კადრისა და ინფრასტრუქტურის ნაკლებობა (მაგალითად, სარწყავი სისტემების გაუმართავობა), ტრენინგებზე, პროექტებსა და პროგრამებზე ინფორმაციის ნაკლებობა ასევე ხელს უშლის სოფლის მეურნეობის განვითარებას წალკის მუნიციპალიტეტში. გამოკითხული ფერმერები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტის წინაშე მწვავედ დგას მიგრაციის პრობლემა, რომელიც კიდევ უფრო მეტად ართულებს კვალიფიციური მუშახელის მოძიების პროცესს. სხვა ფაქტორებად დასახელდა აგრეთვე ბაზრების არასტაბილურობა, ბუნებრივი რესურსების, მათ შორის - მიწის ნაკლებობა, ხარისხიანი სათესლე მასალებისა და შესაწამლი აპარატების ნაკლებობა, ხარისხიანი შხამ-ქიმიკატების, სასუქების პრობლემა, პრეპარატების შესახებ ინფორმაციის არცოდნა, კლიმატის ცვლილება და ვეტერინარების მცირე რაოდენობა.

აშკარა კავშირია ფერმერების საქმიანობასა და კონკრეტული ფერმერის მიერ დასახელებულ ხელშემშლელ ფაქტორს შორის; მაგალითად, ერთ-ერთი გამოკითხული თვლის, რომ ხარისხიანი სკების ნაკლებობა და დაბინძურებული გარემო არის მთავარი ხელშემშლელი ფაქტორი მეფუტკრეობის განვითარებისათვის. გამოკითხული ფერმერი, რომელიც მისდევს მეკარტოფილეობას, მიიჩნევს, რომ მისი მიწის ფართობის ზრდა ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას. საინტერესოა, რომ იმ გამოკითხულ ფერმერებს, რომლებსაც აქვთ მუშაობის 10 წელზე მეტი გამოცდილება, ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორად დაასახელეს გასაღების ბაზრების არარსებობა და ტექნიკაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა. მუშაობის 5-10 წლამდე გამოცდილების მქონე ფერმერებმა მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად ფინანსების ნაკლებობა დაასახელეს. ფერმერები მიიჩნევენ, რომ ფინანსების ნაკლებობა და სესხზე დაბალი ხელმისაწვდომობა მაღალი პროცენტის გამო ხელს უშლით იმ ძირითადი ტექნიკისა და მოწყობილობების შეძენაში, რაც მათი საქმიანობისთვისაა აუცილებელი. ერთი ტრაქტორის არსებობა სოფელში და ტექნიკის ქირაობის პრობლემა აფერხებს აგროვადების დაცვას. ასევე, ფინანსების სიმცირე არ აძლევთ საშუალებას, გააფართოონ მეურნეობა, შეიძინონ საქონელი, ფუტკრის ოჯახები, სკები, ნედლეული და ააშენონ საწყობი პროდუქტის შესანახად.



41 გამოკითხული მეფუტკრიდან უმეტესობა აღნიშნავს, რომ ფუტკრის ოჯახები იხოცება მათთვის გაურკვეველი მიზეზების გამო და ამიტომ ვერ ახერხებენ შესაბამისი ზომების მიღებას.


გრაფიკი 4. ფერმერების განაწილება გამოცდილებისა და სამომავლო გეგმების მიხედვით



გამოკითხულთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ სოფლის მეურნეობის დარგში გააგრძელებს საქმიანობას და ბიზნესს გააფართოებს. ის ფერმერები, ვინც დარგიდან გასვლას აპირებენ, ამის მიზეზად ასახელებენ საკუთარ ასაკს და იმ ფაქტს, რომ მათი შვილები აღარ გააგრძელებენ მათ საქმიანობას.



გრაფიკი 5. შესაძლებლობები ბიზნესის განვითარებისათვის



გამოკითხული ფერმერები მიიჩნევენ, რომ ინფრასტრუქტურასა და აღჭურვილობაზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა (მათ შორის - ტრაქტორები, სარწყავი სისტემები, საწყობი, სამაცივრე მოწყობილობა, სკები, მეფუტკრეობისათვის ტექნიკა - თაფლის საწური) არის მთავარი შესაძლებლობა ბიზნესის განვითარებისათვის. გარდა ამისა, ფინანსებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა, მათ შორის, შეღავათიანი აგროსესხები, ასევე ხელს შეუწყობს ფერმერების საქმიანობის განვითარებას წალკის მუნიციპალიტეტში. ცხადი კავშირია ფერმერის საქმიანობასა და ამ კონკრეტული ფერმერის მიერ დასახელებულ შესაძლებლობას შორის; მაგალითად, 85 გამოკითხულიდან 8 ფერმერი თვლის, რომ ჯიშობრივი გაუმჯობესება და მაღალხარისხიანი პირუტყვის ჯიშის შემოყვანა ხელს შეუწყობს მესაქონლეობის განვითარებას. საინტერესოა, რომ იმ 38 ფერმერიდან, რომლებმაც დაასახელეს ტექნიკაზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა, როგორც ერთ-ერთი აუცილებელი პირობა განვითარებისთვის, უმეტესობას აქვს მუშაობის 10 წელზე მეტი გამოცდილება. განვითარების აუცილებელ პირობად დაასახელეს აგრეთვე ფინანსებზე, პროექტებზე და პროგრამებზე ხელმისაწვდომობა



3.5 SWOT ანალიზი

წალკის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა თავისებურებებით ხასიათდება, რომელთა ნაწილი ხელს უშლის, ან ეხმარება დარგს განვითარებაში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.

ცხრილი 1. სოფლის მეურნეობის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> ○ კლიმატური პირობები ○ ნოყიერი ნიადაგი ○ წყლის საკმარისი რესურსი ○ დარგის ტრადიციულობა, რომელიც განაპირობებს მუნიციპალიტეტში საქმიანობის გამოცდილებისა და ცოდნის არსებობას ○ მონათესავე დარგების, მათ შორის - ტურიზმის, განვითარების პოტენციალი ○ სამოვრებზე ხელმისაწვდომობა (მათ შორის, ალპური სამოვრები) ○ სახნავ-სათესი მიწების საკმარისი ოდენობა ○ შედარებით მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა 	<ul style="list-style-type: none"> ○ ვერ უწევს საფასო კონკურენციას იმპორტირებულ პროდუქტს ○ სუსტი მექანიზაცია, რომელიც აფერხებს საქმიანობის დაგეგმვას აგროვადების მიხედვით ○ თანამედროვე ტექნოლოგიებზე შეზღუდული წვდომა ○ კვალიფიციური და კომპეტენტური კადრების ნაკლებობა ○ მიწის რეგისტრაციის გაუმართაობა ○ ფინანსების ნაკლებობა ○ მკაცრი ზამთარი ○ ბუნებრივ აირზე შეზღუდული წვდომა ○ პირველადი პროდუქტის გადამამუშავებისთვის საჭირო ტექნიკის არქონა ○ პროდუქტიულობის დაბალი დონე ○ მეკარტოფილეობაში სათესლე მასალის დაბალი ხარისხი ○ გაუმართავი სარწყავი სისტემები ○ სუსტი და არამდგრადი საქმიანი კავშირები ○ გასაღების ბაზრების არასტაბილურობა ○ კლიმატური პირობებისგან თავდაცვითი საშუალებების არ ქონა ○ პირუტყვის უკონტროლო გადაადგილება



შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> ○ თანამედროვე ტექნოლოგიებზე წვდომის შედეგად წარმოების ხარჯების, შესაბამისად, პროდუქტის თვითღირებულების შემცირება ○ ბიო და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოება ○ საქონლის ჯიშების გაუმჯობესება ○ კარტოფილის სათესლე მასალის ხარისხის გაუმჯობესება ○ მონათესავე დარგების განვითარება ○ არსებული მეურნეობების გაფართოება ○ სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო პროგრამებისა და დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების სიმრავლე ○ ღირებულებათა ჯაჭვში ახალი რგოლის დამატების შესაძლებლობა 	<ul style="list-style-type: none"> ○ ახალგაზრდა მოსახლეობის სოფლიდან ქალაქში მიგრაცია, შესაბამისად შრომისუნარიანი მოსახლეობის სიმცირე ○ საფინანსო ინსტიტუტების მიერ სესხებზე პროცენტის გაზრდა ○ აგროსესხების სიმცირე ○ კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი კატაკლიზმები ○ დაავადებების გავრცელება ○ სახელმწიფოს მხრიდან პრეპარატებზე კონტროლის გაუარესება

4. დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევამ აჩვენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტში ფერმერები განსხვავდებიან სამუშაო გამოცდილებით და ერთდროულად ჩართული არიან სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა მიმართულებით. რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის საფუძველზე წალკის მუნიციპალიტეტში გამოვლინდა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები: მესაქონლეობა, მეკარტოფილეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა, მარცვლეული კულტურები.

ფოკუსჯგუფსა და სატელეფონო გამოკითხვაში მონაწილე ფერმერებმა დაასახელეს კონკრეტული საკითხები, რომლებიც ხელს უშლით მათ საქმიანობას. ფინანსების ნაკლებობა და ტექნიკაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა არის მთავარი ხელშემშლელი ფაქტორი ფერმერული მეურნეობებისათვის და, შესაბამისად, განვითარებისათვის მთავარ პირობას წარმოადგენს ინფრასტრუქტურაზე, ტექნიკასა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. გამოკითხული ფერმერების უმეტესობა სოფლის მეურნეობის დარგში დარჩენასა და მეურნეობის გაფართოებას გეგმავს.



კვლევის შედეგად გამოვლინდა წალკის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის დარგის ძირითადი საჭიროებები:

- სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა
- გასაღების ბაზრებზე წვდომის გაუმჯობესება
- შეღავათიან აგროსესხებზე ხელმისაწვდომობის ზრდა
- მესაქონლეობაში ახალი ჯიშების მოშენება
- ფუტკრის ოჯახების შექმნა
- მარცვლეული კულტურებისა და კარტოფილის სათესლე მასალის გაუმჯობესება
- ადგილობრივი მეწარმეების წახალისება, მაგალითად, პროდუქტის ხარისხის ნიშნის და სტანდარტის დანერგვა
- ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ტექნიკის რაოდენობის ზრდა
- საგანმანათლებლო რესურსებზე გაუმჯობესებული წვდომა
- უცხოური პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობა
- საექსპორტო ბაზრებთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
- პროდუქტის ბრენდინგთან დაკავშირებულ საკითხებზე ცოდნის გაუმჯობესება
- სოფლის მეურნეობის დარგში ახალ მიმართულებებზე ინფორმირებულობის დონის ამაღლება
- წარმატებული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გაზიარების მეტი შესაძლებლობა

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებების მხარდაჭერა წალკის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მონათესავე დარგების (მაგ., როგორცაა აგროტურიზმი), განვითარება და სექტორებს შორის კავშირების გაძლიერება. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და ხასიათდება კომპეტენტური სამუშაო ძალის ნაკლებობითა და შეზღუდული ინფრასტრუქტურით.

სექტორული რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს შესაბამის სექტორებს, თუმცა წალკის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარება უნდა მოხდეს ინტეგრირებული მიდგომების გათვალისწინებით და არ უნდა იყოს მხოლოდ რომელიმე ერთ სექტორზე ფოკუსირებული. აუცილებელია კომპლექსური მიდგომების გამოყენება, რომელიც მიმართული იქნება მთლიანად წალკის მუნიციპალიტეტზე და არა ცალკეული სექტორების განვითარებაზე.



დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ წალკის მუნიციპალიტეტში შესაძლებელია ეფექტიანი და ინოვაციური ტრენინგებისა და ინფორმაციის გავრცელების კამპანიების რეგულარული წარმოება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო და არასამთავრობო სექტორის ჩართულობით და შემდგომი მონიტორინგი, რადგანაც ასეთი ტიპის საქმიანობა შედარებით ნაკლებდანახარჯიანი ინტერვენციების სწრაფი და მაღალი უკუგების შესაძლებლობას იძლევა.



დანართი

დანართი 1: კითხვები ფოკუსჯგუფისათვის

1. გთხოვთ, მოკლედ დაახასიათოთ თქვენი საქმიანობა (ფერმის ზომა, გამოცდილება, სამომავლო გეგმები). სოფლის მეურნეობაა თქვენი ძირითადი შემოსავლის წყარო?
2. რა ბუნებრივ რესურსებს იყენებთ თქვენს საქმიანობაში?
3. ადამიანური რესურსები (მიგრაცია, ასაკი, კვალიფიკაცია)
4. კაპიტალი (სესხზე ხელმისაწვდომობა, გრანტები და ფინანსური რესურსები)
5. გეოგრაფიული მდებარეობა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა (გზების მდგომარეობა და საჭიროებები ამ მიმართულებით, შეაფასეთ ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა)
6. სხვა ინფრასტრუქტურა (აირი, ელექტროენერჯია, წყალმომარაგება)
7. რა თანამედროვე ტექნოლოგიებს (მანქანა - დანადგარები, ინოვაციები) იყენებთ თქვენს საქმიანობაში?
8. საბაზრო ფაქტორები - ბაზრის ზომა, მომხმარებლის მახასიათებლები, პროდუქციის გასაღების გზები (პირდაპირი გაყიდვა თუ შუამავლის მეშვეობით, რამდენადაა განვითარებული სადისტრიბუციო ქსელი), მოთხოვნის ანალიზი, პროდუქტის მახასიათებლები, ფასი, კონკურენტები
9. გაგაქვთ თუ არა პროდუქტი ექსპორტზე?
10. სხვა მონათესავე სექტორების დახასიათება - სხვა დარგთან კავშირის აღწერა, (მაგ., აგროტურიზმი).
11. სახელმწიფოს როლისა და მუშაობის შეფასება (რეგულაციები, სტანდარტები, რომელთა დაკმაყოფილებაც გიწევთ, და გამოწვევები ამ მიმართულებით)
12. თქვენი საქმიანობის ძლიერი მხარეები (3), სუსტი მხარეები (3)
13. როგორ ხედავთ დარგის განვითარების (პოტენციალს) შესაძლებლობებს (პროდუქტის დივერსიფიკაცია, ბაზრების დიფერენცირება და პროექტებზე, გრანტებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, პროდუქტზე მოთხოვნის ზრდა).



14. დაასახელეთ თქვენს საქმიანობაში არსებული გამოწვევები, რომლებიც აქამდე არ დაგისახლებიათ. რა გიშლით ხელს საქმიანობის წარმართვაში? შეაფასეთ საფრთხეები, რომლებიც ხელს უშლის დარგის განვითარებას

დანართი 2: კითხვარი - სატელეფონო გამოკითხვა

ნაწილი I: ზოგადი კითხვები

1. სახელი და გვარი

2. სქესი

- ქალი
- კაცი

3. სოფელი

4. რამდენწლიანი შრომითი გამოცდილება გაქვთ სოფლის მეურნეობაში?

- 1 წელზე ნაკლები
- 1-დან 3 წლამდე
- 3-დან 5 წლამდე
- 5-დან 10 წლამდე
- 10 წელზე მეტი

5. ძირითადი საქმიანობა

- მესაქონლეობა
- მეფუტკრეობა
- მემარცვლეობა
- მეკარტოფილეობა
- მებოსტნეობა
- სხვა



6. დაასახელეთ თქვენი ფერმის ზომა საქმიანობის მიხედვით (მაგ., რამდენი სული საქონელი გყავთ, ფუტკრის რამდენი ოჯახი, რამდენი ტონა კარტოფილი მოგყავთ და ა.შ)
7. რამდენ ჰექტარ მიწას ამუშავებთ?

ნაწილი II: შესაძლებლობები და გამოწვევები ბიზნესის განვითარებისათვის

8. რა არის თქვენი საქმიანობის გამოწვევები (არ ჩამოუთვალოთ, თვითონ დაასახელოს)
 - დარგობრივი ცოდნის ნაკლებობა
 - კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა
 - ტექნიკაზე შეზღუდული წვდომა
 - გამოცდილების ნაკლებობა ამ სფეროში
 - ფინანსების ნაკლებობა
 - ტრენინგების, პროექტების, პროგრამებზე ინფორმაციის ნაკლებობა
 - გასაღების ბაზრების არარსებობა
 - სხვა _____
9. გთხოვთ, დააკონკრეტოთ წინა კითხვაში დასახელებული გამოწვევა
10. გთხოვთ გვითხრათ თქვენი გეგმების შესახებ
 - ვფიქრობ დარგში საქმიანობის გაგრძელებასა და ბიზნესის გაფართოებას
 - ვაპირებ სოფლის მეურნეობის სხვა მიმართულებაში ჩართვას
 - ვაპირებ სოფლის მეურნეობის დარგიდან გასვლას
11. გთხოვთ, გვითხრათ რა გჭირდებათ თქვენი ბიზნესის განვითარებისათვის